ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 7 ივლისი, 2016 №159 (7085) ფასი: 50 თეთრი

## მაგდა პაპიძეს უვადო პატიმრობა მიესაჯა



გვ.4

7 ივლისიდან
გაბრიელ გარსია მარკესი
გენერალი თავის ლაბირინთში
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




# ჯონ კერი: „საქართველო ნატოს წევრი გახდება“



გვ.2

## გიორგი კვირიკაშვილი:

„მემორანდუმი თავდაცვითი შეიარაღების შეძენის შესაძლებლობას გვაძლევს“

## ჯონ კერი:

„ჩვენ ვაღიარებთ თქვენ მიერ განხორციელებულ რეფორმებს და იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია არჩევნების სამართლიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაქსიმალურად უზრუნველყოფისკენ“

## სროლა სოხუმის ცენტრში

დაჭრილია სახელმწიფო დაცვის 4 თანამშრომელი გვ.10



## „ხელისუფლებამ დამნაშავე ნაციონალები გააპარა“

გიგლა ბარამიძე: „აუდიტის სამსახურის თანამშრომლების 99% სააკაშვილის დაბრუნებაზე ოცნებობს“ გვ.3

## არჩილ გეგეშიძეს უშვებენ?



„რომ არა გეორგიევსკის ტრაქტატი, სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბები და თმები გვექნებოდა“ გვ.3

## ანზორ წოწონავა: „ხაჯიმბამ კრემლის მოლოდინი ვერ გაამართლა“

გვ.4



ISSN 1987-9385



## თედო ჯაფარიძე: „სოხუმსა და ცხინვალში ეუთოს მისიის დაბრუნება შესაძლებელია“

გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ჯონ კერი: „საქართველო ნატოს წევრი გახდება“

**გუშინ, 6 ივლისს, საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის, ვიზიტი დაიწყო.**

**ამერიკელ სტუმარს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა. შეხვედრის შემდეგ კვირიკაშვილის და კერის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.**

საქართველოს პრემიერმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოსა და აშშ-ს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს.

— ეს დოკუმენტი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მნიშვნელოვანი პარტნიორობის კიდევ ერთი დადასტურებაა, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ მემორანდუმი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს, თავდაცვითი შეიარაღება შეიძინოს.

— ეს არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც ქმნის ჩარჩოს ახალი თანამშრომლობისთვის, რომელიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისკენ არის მიმართული და რომელიც საქართველოს აძლევს ახალ შესაძლებლობებს, შეიძინოს თავდაცვითი იარაღი და შეიარაღება, — აღნიშნა ბ-მა პრემიერმა.

მისი თქმით, მემორანდუმი საქართველოს აძლევს საშუალებას, მეტი აქცენტი გააკეთოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე ამერიკელ პარტნიორებთან ერთად. ასევე, ითვალისწინებს უფრო მეტ წვრთნებს პარტნიორებთან, რაც საქართველოს თავდაცვისუნარიანობისთვის არის მნიშვნელოვანი.

მემორანდუმის მნიშვნელობას ხაზი ჯონ კერიმაც გაუსვა.

— აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული მემორანდუმი თავდაცვის აღჭურვილობის შესყიდვის თემებს მოიცავს, — განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

მან მაღალი შეფასება მისცა მემორანდუმს, რომელიც გულისხმობს თავდაცვის აღჭურვილობისა და სხვა შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვის თემებს, რომლებიც საქართველოს შეიარაღებული ძალების თავსებადობას ნატოსთან, თავდაცვისუნარიანობას, ეფექტურობას გაზრდის, დამხმარე იქნება განათლების, პერსონალის ტრეინინგის სფეროებში.

— ასევე, აქ იგულისხმება საოპერაციო და ტექნიკური პირადი შემადგენლობის გაცვლა. ეს დოკუმენტი მოგვცემს საშუალებას, საუკეთესო პრაქტიკები აღვასრულოთ თავდაცვის სფეროში და შემდგომში მოვემზადოთ ნატოს მიმართულებების განხორციელებისთვის.

დოკუმენტი გულისხმობს ერთობლივი წვრთნების გამართვას. აქ შესულია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრის დაცვის თემები და ასევე, ინფორმაციის გაზიარების პროცესები და სხვა, რომლებიც გაამყარებს უსაფრთხოებას სხვადასხვა მიმართულებით, — განაცხადა ჯონ კერიმ.

მისი თქმით, დღესდღეობით აშშ-ის წვლილი 4.5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

— აღსანიშნავია ჩვენი დაუღალავი მუშაობა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორიცაა თავდაცვა, — აღნიშნა ჯონ კერიმ.

◆ ◆ ◆

პრესკონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი თემა საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობა იყო.

— ნატოში სწრაფვა არის განუწყვეტელი ცვლილებების პროცესი და ჩვენ ყველას დიდი იმედი გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროცესი დაგვირგვინდება ალიანსში წევრობით, რაც ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში დაამყარებს სტაბილურობას, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი განვითარებისთვის, — განაცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ ქართული მხარე ვარშავის სამიტზე ელოდება იმ პროგრესის დადასტურებას, რასაც ქვეყანამ მიაღწია.

— პირველად ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ჩატარდება ნატო-საქართველოს საბჭოს მინისტერიალი, რომელიც მიიღებს მხარდამჭერ ერთობლივ განცხადებას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის თაობაზე.

საქართველო ამ სამიტის შემდეგ იქნება უფრო მეტად დაცული, გამომდინარე სამხედრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებული ფორმატიდან, რომელსაც დღესდღეობით არსებითი პაკეტი ითვალისწინებს და დაემატება თანამშრომლობის დამატებითი კომპონენტები, — განაცხადა ბ-მა კვირიკაშვილმა.

სახელმწიფო მდივნის თქმით კი, ძალიან ბევრი ნაბიჯი გადაიდგმება და ბევრი პროცესი მოვა მოქმედებაში, რომელიც გაამარტივებს საქართველოს თანამშრომლობას ნატოს-თან, მისი სრული წევრობის გზაზე.

— აშშ თავის ვალდებულებას გრძნობს, დაეხმაროს საქართველოს ევროატლანტიკურ მომავალში, — განაცხადა ჯონ კერიმ.

მისი თქმით, საქართველო გახდება ნატოს წევრი და ეს დაფიქსირდება ვარშავის სამიტზეც.

— ბუქარესტის სამიტზე, 2008 წელს, ნატოს მეკავშირეებმა განაცხადეს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ ბუქარესტის სამიტზე აღებულ ვალდებულებას. ამას ხაზი გავუსვით ჩიკაგოსა და უელსის სამიტზე. აღნიშნული ასევე გაიჟღერებს ვარშავის სამიტზეც. საქართველოს მოსახლეობამ თვითონ აირჩია ევროატლანტიკური მომავალი. აშშ თავის ვალდებულებას გრძნობს, დაეხმაროს საქართველოს ამ მიზნების მიღწევაში, — განაცხადა ბ-მა სახელმწიფო მდივანმა.

◆ ◆ ◆

ჯონ კერიმ ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზეც ისაუბრა.

— უდიდეს პატივისცემას იმსახურებთ იმის გამო, რომ ინარჩუნებთ სურვილს, თქვენი მზერა დასავლეთს მიაპყროთ. თქვენი ქმედებები არაა მიმართული დამსჯელობითი, შურისმაძიებლური მიზნებისაკენ და მოქმედებთ თქვენი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამისთვის ნამდვილად პატივისცემას იმსახურებთ. თქვენ გაატარეთ უმნიშვნელოვანესი რეფორმები, ელოდებით არჩევნებს ოქტომბრის თვეში, — განაცხადა ჯონ კერიმ.

მისივე თქმით, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლის მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოახდენს უდიდეს გავლენას საზოგადოების აზრზე იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით ვითარდება საქართველო.

— 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იქნება კიდევ ერთი ლაკმუსის ტესტი საქართველოსთვის, — აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა.

მისი თქმით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი უსაფრთხოების უფრო მეტად უზრუნველყოფისა და საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის.

— ჩვენ ვისაუბრეთ საარჩევნო თემებზე, რომლებიც ზეწოლისა და დაშინებისგან არის თავისუფალი და ასევე იმაზეც, რომ არ შეწყდეს ის პროგრესი, რომელიც მიმართულია მასმედიის თავისუფლებისკენ, — განაცხადა კერიმ.

პრემიერმა კვირიკაშვილმაც აღნიშნა, რომ კერისთან ისაუბრა საპარლამენტო არჩევნების თავისუფლად, გამჭვირვალედ და მშვიდ გარემოში ჩატარების მნიშვნელობაზე და მასში ამერიკული ორგანიზაციების და სადამკვირვებლო მისიების ჩართულობაზე.

— საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობა ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებაზე, მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფაზე. მზად ვართ, მომავალში კიდევ უფრო გავაღრმავოთ ჩვენი პარტნიორობა აღნიშნული მიმართულებით, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

◆ ◆ ◆

საუბარი რუსულ საფრთხეებსაც შეეხო.

— რუსული ოკუპაციის, მილიტარიზაციის შედეგები საქართველოს ოკუპაციის თვალსაზრისით მიუღებელია, — განაცხადა ამერიკელმა სტუმარმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ მყარად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

— ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს, რომ შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მოთხოვნები, რაც გულისხმობს მისი ჯარების გაყვანას კონფლიქტის წინა პოზიციებზე და ჰუმანიტარული დახმარებისთვის ყოველგვარი ბარიერის მოხსნას ამ რეგიონში, — განაცხადა კერიმ.

მან აშშ-ს საქართველოს მიმართ 15 მილიონის ღირებულების პროგრამაც დააანონსა.

— 15-მილიონიანი ღირებულების პროგრამის დაანონსება მოვახდინე იმისთვის, რომ გამყარდეს ეკონომიკური მდგრადობა საქართველოში და კიდევ ერთი მილიონი დოლარი იმისთვის, რომ შენარჩუნდეს შესაბამისობა შრომის კანონმდებლობასთან მოთხოვნაში.

ასევე გვინდა გავამყაროთ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მოგვიანებით ვაპირებ შევხვდე ახალგაზრდა ქართველ ბიზნესმენებს, მეწარმეებს თუ რას ფიქრობენ საქართველოში ინოვაციური წინსვლის თვალსაზრისით, — აღნიშნა ჯონ კერიმ.

◆ ◆ ◆

გუშინ ხელი მოეწერა კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომლის მიზანია საქართველოსა და აშშ-ს შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავება, კერძოდ, ფულბრაიტის აკადემიური გაცვლითი პროგრამის გაფართოების მიმართულებით.

მხარეები გაუზიარებენ განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას, ასევე, შესაბამის უნივერსიტეტებში სწავლისა და სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობებს.

გაზრდილი დაფინანსების პირობებში, მეტ ქართველ და ამერიკელ სტუდენტსა და მკვლევარს ექნება საშუალება, უფრო აქტიურად ჩაერთოს ორი ქვეყნის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში.

მხარეები ვალდებულებას იღებენ, წაახალისონ აღნიშნული საგანმანათლებლო ქმედებები, მათ შორის, აკადემიური სტიპენდიებისა და გრანტების გამოყოფისა და გაცვლითი პროგრამების შეთავაზებით.

აღნიშნულ პროგრამას საქართველოს მხრიდან ადმინისტრირებას გაუწევს საერთაშორისო განათლების ცენტრი, აშშ-ის მხრიდან კი მისი პარტნიორი იქნება საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი.

გარდა ამისა, დაფუძნდება ფულბრაიტის პროგრამის ერთობლივი შესარჩევი კომიტეტი, რომელიც ქართველ მონაწილეებთან ჩაატარებს ინტერვიუებს და შესაბამის კანდიდატურებს წარუდგენს აშშ-ის უილიამ ფულბრაიტის უცხოეთის სტიპენდიების საბჭოს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ახალი პროექტი „ზრდა“ — 5-წლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე თემებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სექტორებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და საოჯახო მეურნეობების შესაძლებლობების გაზრდა.

პროექტი „ზრდა“ ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის, სექტორული ასოციაციების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უნარების გაძლიერებას, პროდუქტიულობის ამაღლებასა და კონტაქტების გაღრმავებას, მყიდველებსა და მწარმოებლებს შორის საბაზრო კავშირების წახალისებას.

პროექტის დახმარებით 2.000 სამუშაო ადგილის შექმნა იგეგმება, 11.000 ოჯახს გაეზრდება შემოსავლები და ადგილობრივ ბიზნესს მოუტანს დაახლოებით 30 მილიონიან შემოსავალს.

◆ ◆ ◆

გუშინ საღამოს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსაც შეხვდა.

შეხვედრა პრეზიდენტის ავლაბრის სასახლეში შედგა. მას საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლები და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

— საუბარი შეეხო ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რაც დღეს საქართველოსთვის აქტუალურია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებაზე. იყო საუბარი იმ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომლებიც შეიძლება გადაიდგას, რაც კიდევ უფრო გააფართოებს და გააღრმავებს ჩვენი თანამშრომლობის ფორმატს, — განაცხადა საგარეო ურთიერთობების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ.

მისი თქმით, დეტალური საუბარი იყო უსაფრთხოების საკითხებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე. განხილულ იქნა საქართველოს გეოპოლიტიკური როლი, ის, თუ როგორ შეიძლება გაღრმავდეს ის საერთაშორისო ფუნქცია, რომელსაც დღეს საქართველო ასრულებს.

— გარდა ამისა, ბუნებრივია, განხილულ იქნა საქართველოს შემდგომი წინსვლისა და დემოკრატიზაციის ნაბიჯები, — განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

### გიორგი კვირიკაშვილი: „მემორანდუმი თავდაცვითი შეიარაღების შეძენის შესაძლებლობას გვაძლევს“



### „ჩვენ ვაღიარებთ თქვენ მიერ განხორციელებულ რეფორმებს და იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია არჩევნების სამართლიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაქსიმალურად უზრუნველყოფისკენ“

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხელისუფლებამ დამნაშავე ნაციონალები გააპარა“

შორენა მარსაგიშვილი

## გიგლა ბარამიძე: „აუდიტის სამსახურის თანამშრომლების 99% სააკაშვილის დაბრუნებაზე ოცნებობს“



თქვა თუ არა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენაზე უარი, რა გარიგება არსებობს ხელისუფლებასა და ნაციონალებს შორის. რას უნდა აქცევდეს ყურადღებას აშშ-ში საქართველოს ელჩი? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

— რამდენიმე დღის წინ მიწას მივაბარეთ სულხან მოლაშვილი, მისი გარდაცვალება ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების მხილების დასაწყისი იქნება. ნაციონალებმა ის მოკლეს, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ არაფერი გააკეთა დამნაშავეების დასასჯელად. დასჯას ვინ ჩივის, დამნაშავეები დაკითხვაზეც არ დაუბარებიათ.

ამ ტრაგიკულმა ფაქტმა ყველას დაანახა, თუ რამხელა უფსკრული ყოფილა ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ჩვენ ჯერ კიდევ 2013 წელს ვთხოვდით ხელისუფლებას, არ დათანხმებულიყო კოაბიტაციას და მიეღო დოკუმენტი, სადაც დადასტურებული იქნებოდა ნაციონალების სისტემური დანაშაული. ეს მათი გასამართლების იურიდიულ საფუძველს მოამზადებდა.

***— ბოლოს მაინც ხომ მიიღეს მსგავსი დოკუმენტი?***

— ეს დოკუმენტი ახლახან მიიღეს, მაგრამ ეს აღარაფერს შეცვლის. ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ არ მიუღიათ, რომ სამართლიანობის აღდგენა სურთ. უბრალოდ, წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო, სოფელ-სოფელ დაიწყებენ ხეტიალს და იქ თავის მართლება დასჭირდებათ.

ამ ყველა სიკეთესთან ერთად იმდენად უსუსურები და ჩაჩნები არიან, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად კინაღამ დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენელი გიგი წერეთელი აირჩიეს.

***— ამ ამბავში „ქართული ოცნების“ დანაშაული რა არის? წერეთელი პრეზიდენტის პოსტზე ევროპის სახალხო პარტიამ წარადგინა.***

— საქმეც ისაა, რომ თავიანთი უმოქმედობით იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ ამ პოსტზე დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენელი იქნა წარდგენილი. აქ პირადად გიგი წერეთელზე არ არის საუბარი. საუბარია, რომ რეჟიმის წევრების კანდიდატურებს ასახელებენ მაღალ პოსტებზე.

***— თუმცა ითქვა, რომ რაკი ქართველი იყო, ქართულ დელეგაციას მხარი უნდა დაეჭირა მისი კანდიდატურისთვის. თანაც ის სისხლიან ამბებში არასდროს ყოფილა გარეული.***

— თავად არავინ უწამებია, მაგრამ რეჟიმის წარმომადგენელი იყო და დღემდე იქ არის. მის ქართველობაზე ნაციონალები აპელირებდნენ და ეს წმინდა წყლის სპეკულაციაა. რა შუაშია აქ ქართველი, თურქი თუ ამერიკელი? საუბარია ეუთოზე, რომლისთვისაც მთავარი ადამიანის უფლებებია.

წერეთლის კანდიდატურის წარდგენამ „ქართული ოცნების“ უმოქმედობის გარდა, კიდევ ერთი ფაქტი გამოამზეურა. ნაციონალები და მათი სატელიტები ხშირად იშვერენ ჩვენსკენ ხელს და პრორუსულებს გვეძახიან. ამაზე ყოველთვის გვეცინებოდა და ვამბობდით, თუკი ვინმემ რუსულ აგრესიულ წრეებს საშვილიშვილო სამსახური გაუწია, ეს იყო ყოფილი ხელისუფლება. ალბათ ამიტომ იყო, რომ ვარდების რევოლუციის დროს იგორ ივანოვი აქ ჩამოქანდა და ნაციონალებს დაუჭირა მხარი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ გიგი წერეთლის კანდიდატურას რუსული დელეგაცია აქტიურად და ღიად უჭერდა მხარს.

ახლა აქეთ ვსვამ კითხვას, გიგი წერეთლის ადგილზე სხვა პარტიის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო და რუსებს მისთვის დაეჭირათ მხარი, რა მოხდებოდა? ის მოხდებოდა, რომ ერთ ამბავს ატეხდნენ ნაცმოძრაობა, მათ მიერ დაპურებული საშოვარზე გამოსული არასამთავრობოები და სატელიტი პარტიები.

***— სამართლიანობის აღდგენაზე საუბრისას დეპუტატმა ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ სრულად ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ამას 15 მილიარდი სჭირდება და ბიუჯეტს ამის ფუფუნება არა აქვს.***

— ახლა აჭიკჭიკდნენ ბიუჯეტის ამბებზე, როცა კაბინეტებიდან მოუწევთ გამოსვლა? ტყუილად ნუ იბრახუნებენ გულში მჯიღებს, მათ რიგებში არ არის პიროვნება იმ ერთი მილიარდერის გარდა, რომელსაც ხალხში ავტორიტეტი აქვს. მისი ხათრით რაღაც პროცენტს ნამდვილად მიიღებენ, მაგრამ უმრავლესობით ვეღარ მოვლენ.

შარშანწინ, შარშან, ამ წლის დასაწყისშიც იძახდნენ, რომ დამნაშავეებიც დაისჯებოდნენ, წართმეული ქონებაც დაბრუნდებოდა და დაზარალებულები კომპენსაციებსაც მიიღებდნენ. ახლა რა მოხდა? არჩევნები მოახლოვდა და პოლიტიკურ კედელთან აღმოჩნდნენ მიმწყვდეულები? თავიანთი უსუსურობის გამართლებას ნუ ცდილობენ, დაზარალებულებისთვის კომპენსაციების დასარიგებლად უამრავი წყარო არსებობს.

მათი მიზანი თუ სიმართლის დადგენა იყო, მაშინ ნაციონალებისთვის არ გაეტანებინათ ქონებები. ადეიშვილმა, კეზერაშვილმა და მათმა გარემოცვამ ეს უპრობლემოდ მოახერხეს. ფული დამნაშავეებს გაატანეს, ახლა ბიუჯეტს აბრალებენ, ამდენს ვერ გაუძლებსო. რა თქმა უნდა, ვერ გაუძლებს, არნახულად დიდი ხელფასები და დანამატები დაინიშნეთ. დაგითვალოთ, სასტუმროებში რამდენ თანხებს ხარჯავთ და რამდენჯერ იცვლით წელიწადში მანქანებს? წურბელებივით დააჯექით ბიუჯეტს, პირადი ცხოვრება მოიწყვეთ და ხალხისთვის ფული როგორ დაგრჩებოდათ? სააკაშვილმა მილიარდები რომ წაიღო, მაშინ სად იყავით? ან იქნებ ისიც არ იცით, ძებნილი რამდენ კომპანიას აკონტროლებს საქართველოში? იგივეს თქმა შეიძლება ციხეში მყოფ მერაბიშვილსა და უგულავაზე.

***— „ქართული ოცნების“ და ნაციონალების მიერ ჩატარებული კვლევები თითქმის ერთნაირია და ამით რა დასკვნის გაკეთება შეიძლება, ხალხს ხომ არ აგუებენ წინასწარ იმ შედეგებს, რომელიც მათთვის არის მისაღები?***

— „ოცნებას“ და ნაციონალებს პლუს-მინუსივით სჭირდებათ ერთმანეთი. ახალი მოსულები იყვნენ ხელისუფლებაში, როცა უსუფაშვილმა თქვა, ქართული დემოკრატიის უმთავრესი მიზანი ნაცმოძრაობის შენარჩუნებააო. ეს დანაპირები შეასრულეს და თანაც წარმატებით. ლევან ვარშალომიძეს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ხმა არ ამოუღია, სულ მუმუ მეგონა. ახლა დაბრუნდა საქართველოში და ამ უმაქნისების ფონზე იოანე ოქროპირად მოგვევლინა ლამის.

მის დაბრუნებას „ქართული ოცნება“ სათავისოდ გამოიყენებს. მათ გეგმებში კარგად ჩაეწერა გააქტიურებული სანდრა რულოვსი. ხალხს ეტყვიან, ჩვენ თუ არ აგვირჩევთ, აგერ ნაციონალები როგორი აქტიურები არიან და ეგენი დაბრუნდებიანო. ამ მკვდრების ხელში დაბრუნდებიან, აბა რას იზამენ. არაფერზე არ რეაგირებენ, იმაზეც დახუჭული აქვთ თვალები, ნაციონალები ხალხისთვის წართმეული ფულით სატელიტებს რომ აძლიერებენ და მათ პარლამენტში შეთრევას ცდილობენ. გადაალახინებენ ბარიერს და მერე მათთან ერთად შექმნიან უმრავლესობას.

***— ამ საფრთხეს „ქართული ოცნება“ ვერ აცნობიერებს?***

— მთლად აქამდე არ მიიყვანენ საქმეს, ასე არ გააძლიერებენ, მაგრამ ნაცმოძრაობა რომ მათ ჰაერივით სჭირდება, ეს უდავოა. ეს კვლევებიც ამის დადასტურებაა. მინდა იმედი გავუცრუო ამ ადამიანებს და ვუთხრა, რომ პარლამენტში სულ სხვა ძალები შევალთ და ქვეყანაშიც სხვანაირად წავა საქმე. ხალხის მიერ პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნილი ნაცმოძრაობა მართლა ისტორიას ჩაბარდება. ეს 4 წლის წინ უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ხელისუფლებამ ისინი გადაარჩინა და დღეს ისინი აქტიურად თანამშრომლობენ.

***— არსებობს მათი თანამშრომლობის დამადასტურებელი რაიმე ფაქტი თუ ვარაუდის დონეზე საუბრობთ?***

— ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და მეგობრობა დღემდე არ გაუწყვეტიათ. გადახედეთ მმართველ გუნდს და თანამშრომლობის ფაქტი სახეზეა. საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილს პირწავარდნილი ნაცები შეადგენენ, რომლებიც წლების მანძილზე რეჟიმის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. სახელმწიფო სტრუქტურები სულ ნაციონალებით არის დაკომპლექტებული.

***— შეგიძლიათ დაასახელოთ ეს სამსახურები?***

— ამის ნათელი მაგალითი აუდიტის სამსახურია. მისი თავმჯდომარე თავგადაკლული ნაციონალია. თანამშრომლების 99% დღემდე მისტირის ნაციონალებს და მათ დაბრუნებაზე ოცნებობს. ხალხს ემუქრებიან, დაბრუნდება სააკაშვილი და ნახავთ, რასაც გიზამთო. ნაციონალებით არის სავსე შსს და პროკურატურაც. ამაზე მეტყველებს ათასობით გამოუძიებელი საქმე.

***— აშშ-ში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ხელისუფლებაში არიან პრორუსული ორიენტაციის ადამიანები. ამაზე რას იტყვით და კიდევ რამდენად ადეკვატური იყო ამ განცხადებაზე ხელისუფლების რეაქცია. მათი თქმით, პოლიტიკა ელჩის საქმე არ არის.***

— არჩილ გეგეშიძეს კარგად ვიცნობ. კარგი ბიჭი და მაღალი დონის დიპლომატია. მისი მხრიდან ასეთი განცხადების გაკეთება არის დიდი შეცდომა. პოლიტიკა და დიპლომატია ერთმანეთისგან უნდა იყოს გამიჯნული. სასურველი იქნება, თუ ის თავისი მიმართულებით იმუშავებს აქტიურად. ხოლო თუ ასე ძალიან უნდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა, მაშინ ის გაგვირკვიოს, რა თანხებს ხარჯავენ ამერიკაში ჩასული ნაციონალები სხვადასხვა შეხვედრებზე.

ძალიან საინტერესო იქნება იმის გარკვევაც, რას წარმოადგენენ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიები. მათი წარმომავლობა ბევრ კითხვას გასცემს პასუხს და გავიგებთ, ვინ დგას ამ კომპანიების უკან, რუსული თუ ამერიკული სპეცსამსახურები.

***— პრორუსულები არიან ხელისუფლებაში?***

— დღეს მსოფლიოში მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსები საუბრობენ ასეთი პრო-ებით. ძალიან საინტერესოა, რითი იზომება ვინმეს პროობა. სხვებს პრორუსულობას დააბრალებენ, თავად პროდასავლურობის იარლიყს იწებებენ. ასეთი თვითმარქვიობა და პროვინციალიზმი აღარ უნდა დასრულდეს? ჩვენ ქვეყნის ინტერესებიდან და არსებული რეალობიდან გამომდინარე უნდა მოვიქცეთ, ისე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც ნორმალური ქვეყნები იქცევიან. ჩვენ ჩვენს ამომრჩეველს ვთავაზობთ უბლოკო სტატუსს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ იქნება მიმართული.

# არჩილ გეგეშიძეს უშვებენ?

## „რომ არა გეორგიევსკის ტრაქტატი, სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბები და თმები გვექნებოდა“

ბოლო დღეებში საზოგადოების ყურადღების ცენტრში აშშ-ში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე მოექცა.

რამდენიმე დღის წინ მან ნეტგაზეთთან ინტერვიუში საქართველოს ხელისუფლებაში არსებულ პრორუსულ ძალებზე ისაუბრა, მანამდე კი მან სახელმწიფო დეპარტამენტს დაასწრო და ჯონ კერის საქართველოში ვიზიტი დააანონსა.

ამ განცხადებას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არაკვალიფიციური ელჩის არაკომპეტენტური განცხადება უწოდეს.

5 ივლისს ღამით არჩილ გეგეშიძე საქართველოში ჩამოვიდა. ის საგარეო სამინისტრომ დაიბარა.

აეროპორტში ელჩმა ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

— კომენტარს არ ვაკეთებ. ტყუილად გარჯილხართ. საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა განვიხილოთ ეს თემები და ამის შემდეგ გაჟღერდება ყველაფერი, რაც თქვენ გაინტერესებთ, — განუცხადა გეგეშიძემ ჟურნალისტებს.

გუშინ აშშ-ში საქართველოს ელჩი ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის ვიზიტის ფარგლებში თბილისში გამართულ შეხვედრებს არ ესწრებოდა.

ჟურნალისტებმა მიზეზი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანს ჰკითხეს.



ზალკალიანმა ამ კითხვას არ უპასუხა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ გეგეშიძისგან მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებას მოისმენენ.

— ჩვენც გვაინტერესებს, თუ რამდენად შეესაბამება რეალობას ის განცხადებები, რომლებიც გაჟღერდა, ამიტომ ჯერჯერობით რაიმე ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება, სანამ ელჩის მხრიდან სრული სურათი არ გვეცოდინება, თუ რასთან გვაქვს საქმე — ეს არის მისი განცხადება თუ ჟურნალისტის ინტერპრეტაცია — არ მგონია, სწორი იყოს, — განაცხადა ზალკალიანმა.

მისივე განმარტებით, საგარეო უწყებას არჩილ გეგეშიძის განცხადებაზე ექნება შესაბამისი რეაგირება, თუმცა დღეს გაუჭირდება საუბარი, რა იქნება ეს რეაგირება.

◆ ◆ ◆

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი გაკვირვებულია აშშ-ში საქართველოს ელჩის განცხადებით. მეტიც, მინისტრი ამბობს, რომ არც ერთი ქართველი ელჩი მსგავს განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს.

— მე გამიხარდა ის, რომ სამინისტროში დაიბარეს. არა მგონია, რომ ზოგადად საქართველოს რომელიმე ელჩი უნდა აკეთებდეს ასეთ განცხადებას და, მით უმეტეს, აშშ-ში საქართველოს ელჩი. იმედი მაქვს, რომ ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზაა და ის ამას განმარტავს, — განაცხადა თინა ხიდაშელმა

◆ ◆ ◆

ნეტგაზეთთან ინტერვიუში არჩილ გეგეშიძე გეორგიევსკის ტრაქტატზეც საუბრობს და ასეთ რამეს ამბობს:

— რომ არა ეს ტრაქტატი, სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბები და თმები გვექნებოდა. ის, რომ ქართველები გვქვია, ქართული ცნობიერება გვაქვს და გამოგვარჩევენ, როგორც ერს, ეს ჩვენი წინაპრების დამსახურებაა.

გუშინ საღამოს ელჩის ამ ფრაზას საზოგადოება „ივერიის“ დამფუძნებელი ნიკა რურუა გამოეხმაურა.

— შეიძლება პრორუსი ელჩი მთავრობას ისეთ მოკავშირე სახელმწიფოში ჰყავდეს, როგორიც აშშ-ა და ამტკიცებდეს, რომ დასავლური კურსი აქვს?! — კითხულობს ბ-ნი რურუა.

მისი თქმით, გეგეშიძეს ალბათ უკვე ვეღარ შევაგნებინებთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა საქართველოს დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა, ავტოკეფალია და თვითგადარჩენის მთავარი ინსტინქტები წაართვა.

— მაგრამ იქნებ ვინმემ აუხსნას, რომ თმის, წარბების და კანის ფერებით დასკვნების გაკეთება ელემენტარული რასიზმია, რომელიც, ყველაფერთან ერთად, მეზობლებსაც გადაგვკიდებს?! კინწისკვრითაა გასაგდები დაკავებული თანამდებობიდან ეს უვიცი მავნებელი, — წერს ნიკა რურუა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თედო ჯაფარიძე: „სოხუმსა და ცხინვალში ეუთოს მისიის დაბრუნება შესაძლებელია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტსა და საქართველოში ცოტა ხნის წინ რუსული დელეგაციის ჩამოსვლაზე საუბრობს.

**„რუსეთთან ურთიერთობის საპარლამენტო ფორმატი შეიძლება არანაკლებ საინტერესო იყოს“**






***– ბატონო თედო, საქართველოში ვიზიტით იმყოფება ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე და რაზე გამახვილდა მასთან მოლაპარაკებებში ყურადღება?***

– ამ ვიზიტის მთავარი დატვირთვა ქართულ-ამერიკული ურთიერთობებია. ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და ჩვენი ქვეყნის სტაბილურობა არის მთავარი ლაიტმოტივი, რომელიც ამ შეხვედრებს გასდევდა. შეხვედრებზე საუბარი შეეხო მომავალ საერთაშორისო ფორუმებს, უმთავრესი ყურადღება დაეთმო ნატოს ვარშავის სამიტს, სადაც აშშ-ის პოზიცია მთავარია.

***– თბილისში ცოტა ხნის წინ რუსული დელეგაცია იმყოფებოდა. მართალია, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ფორმატში, მაგრამ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ რუსული დელეგაცია საქართველოში პირველად ჩამოვიდა. თქვენ, როგორც დიპლომატი, რუსეთის ამ ნაბიჯს აფასებთ, როგორც დიპლომატიურ ნაბიჯს?***

– არა, ნამდვილად არა. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, ისინი ჩამოვიდნენ ეუთოს ფორმატში. ასევე ჩავიდოდნენ რომელიმე სხვა დედაქალაქშიც, იქ რომ ჩატარებულიყო საპარლამენტო ასამბლეა. შეიძლება ეს მომხდარიყო მონღოლეთშიც და საქართველოშიც, როგორც მოხდა კიდეც.

***– ანუ თქვენ ამას განსაკუთრებულ დატვირთვას არ აძლევთ?***

– არამც და არამც. ეუთოს წევრი ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია, რომ საპარლამენტო ასამბლეაზე ჩავიდეს სადაც არ უნდა იყოს ის და ასევე წევრი სახელმწიფო, რომელიც მასპინძელი იქნება, ვალდებულია, მიიღოს ნებისმიერი წევრი ქვეყანა და მას სამუშაო პირობები შეუქმნას. ეს არის და ეს.

რუსეთის დელეგაციის საქართველოში ყოფნას ნამდვილად ჰქონდა პოლიტიკური ელფერი, მაგრამ ეს არ მომხდარა განსაკუთრებული გზებით, ასე ნამდვილად არ არის. თქვენ, მოგეხსენებათ, რომ რუსეთს ხმა არ მიუცია იმ დეკლარაციისთვის, რომელშიც სწორედ ოკუპირებულ რეგიონებზეა საუბარი.

***– ამ ფორმატის გარეთ საუბარი რუსულ დელეგაციასთან იყო?***

– არა. ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით დაკავებული, ისინი – თავიანთი საქმით.

***– რამდენად არის შესაძლებელი, რომ გარკვეული ურთიერთობები დაიწყოს რუსეთთან?***

– დღეს ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

***– მაგალითად, მინისტრების დონეზე, ლავროვისა და ჯანელიძის შესაძლო შეხვედრაზე იყო პრესაში საუბარი.***

– მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. მოხდება თუ არ მოხდება ეს შეხვედრა, არ ვიცი, მაგრამ არის გარკვეული ფორმატები რუსეთთან ურთიერთობაში. ვგულისხმობ ჟენევის ფორმატს და აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებს. მე, როგორც იდეას, ახლა თქვენ გიზიარებთ – შეიძლება ამას დაემატოს საპარლამენტო დონეზე გარკვეული საუბრები, თუმცა რამდენად შეისხამს ხორცს ეს იდეა, ვერ გეტყვით. რუს დეპუტატებთან დიალოგი შეიძლება არანაკლებ საინტერესო იყოს, მე ამას არ გამოვრიცხავ.

***– ცარიელი ფურცლიდან თუ არსებული წითელი ხაზების გათვალისწინებით?***

– ცხადია, წითელი ხაზების სრული დაცვითა და გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, ეს წითელი ხაზები, რომლებიც ჩვენს ურთიერთობებშია, დარჩება და შეიძლება სწორედ ამაზე ვისაუბროთ. ვისაუბროთ, როგორც პარლამენტარებმა, ვისაუბროთ ისე, როგორც ვერ ახერხებენ ამას სახელმწიფო მოღვაწეები. სახელმწიფო მოღვაწეებს აქვთ შეზღუდვები, ინსტრუქციები, რომლის იქით გადაბიჯება დაუშვებელია. დეპუტატები მაინც უფრო თავისუფლები არიან მსგავსი შეზღუდვებისგან. ჩვენ უფრო თავისუფალი ხალხი ვართ.

***– ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელიც ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება. დავით უსუფაშვილის განცხადებით, ამ დოკუმენტს არ გააჩნია იურიდიული ძალა, მაგრამ ის არის პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი. რა დოკუმენტია ეს?***

– საპარლამენტო ასამბლეის ჩატარება ჩვენს ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ კუთხითაც. მნიშვნელოვანი იყო იმ დოკუმენტის მიღება, რომელზეც თქვენ მეკითხებით. ეს დოკუმენტი პოლიტიკური მნიშვნელობის არის. ჩვენი ქვეყნისთვის ის დებულებებია ჩადებული, რომლებიც სასარგებლოა. მართალია, მას არ გააჩნია იურიდიული ძალა, მაგრამ ყველა დოკუმენტი, რომელიც მიიღება ასეთი მაღალი დონის საერთაშორისო ტრიბუნაზე, ძალიან მნიშვნელოვანია და პოლიტიკური და სამართლებრივი დატვირთვაც აქვს. ახლა საჭიროა ამ დოკუმენტის რეალიზება, ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია დიპლომატების, პარლამენტარების, მთავრობების საქმიანობა მის შესასრულებლად, რომ ქაღალდზე არ დარჩეს.

***– რამდენად არის ქმედითი?***

– ეს არის საერთაშორისო ბერკეტი, ამით ხდება საერთაშორისო დონეზე აქტუალიზაცია ჩვენი ქვეყნის, მისი პრობლემების. მაღალი დონის დიპლომატია არის პოლიტიკის ნაწილი და მას აუცილებლად მოაქვს შედეგები, შეიძლება დღესვე არა, მაგრამ აუცილებლად მოიტანს.

***– ბატონო თედო, ეუთოს მისიის დაბრუნება ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რამდენად არის შესაძლებელი?***

– იმ დოკუმენტში, რომელზეც ახლა მოგახსენებდით, სწორედ ამაზეა საუბარი. ცხადია, ჩვენ, ვითხოვთ ეუთოს მისიის დაბრუნებას ოკუპირებულ რეგიონებში. სწორედ ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში გაწერილია პუნქტები, რომლებიც მოგვცემს სწორედ იმ შესაძლებლობას, რომ უფრო აქტიურად დავაყენოთ ჩვენი პრობლემები და რეალური გზები ვეძიოთ მათ გადასაჭრელად.

***– ეუთოს მისიის დაბრუნება შესაძლებელია?***

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. საუბარია არა მხოლოდ მისიის დაბრუნებაზე, არამედ უფრო აქტიურ და ქმედით დაბრუნებაზე.

# ანზორ წოწონავა: „ხაჯიმბამ კრემლის მოლოდინი ვერ გაამართლა“

## „გიგა ოთხოზორიას მკვლელობამ პროცესები დააჩქარა“

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთში დაძაბულობა ახლა არ დაწყებულა. ამისთვის პირობები შექმნა მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ, აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა.

**ანზორ წოწონავა:**

– ის, რაც ახლა ანექსირებულ აფხაზეთში ხდება, მარტო პოლიტიკას არ უკავშირდება. ბოლო დროს იქ ძალიან გაუარესდა სოციალური მდგომარეობა. ამის გამო პროცესებში ჩაერთნენ ის ადამიანებიც, რომლებიც ადრე არ აქტიურობდნენ.

***– ადრე აღნიშნეთ, რომ დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ არ გაამართლა მოსკოვის იმედები..***

– ეს ასეა. ხაჯიმბა პუტინის გენერალია, მაგრამ მან კრემლის მოლოდინი ბოლომდე არ გაამართლა. ის იქცა პუტინის კომპრომატად. ვფიქრობ, რომ ახლა მისი წასვლის დრო დგება. მოსალოდნელია ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.




***– ანუ დღის წესრიგში დგება არა რეფერენდუმი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, არამედ პირდაპირ არჩევნები?***

– დიახ.

***– ამ ყველაფერში რუსეთი მონაწილეობს?***

– რუსეთის სპეცსამსახურებს რომ უნდოდეთ დაძაბულობის ჩაქრობა, ამას ადვილად მოახერხებდნენ. ისინი ამას არ აკეთებენ. საერთოდ, ბევრი რამ იცვლება. მოვლენები სწრაფად ვითარდება. თუ ცოტა ხნის წინ რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ახლა მათ შორის შერიგება-მორიგებაა. რუსეთმა რამდენიმე თვის წინ მოითხოვა, რომ აფხაზეთს კავშირი გაეწყვიტა თურქეთთან, არ შეეშვა იქ თურქული პროდუქცია. ამან კიდევ უფრო გააუარესა აფხაზეთის მოსახლეობის მდგომარეობა. მანამდე თავად რუსეთმაც შეუმცირა დახმარება აფხაზეთს ეკონომიკური კრიზისის გამო.

***– ახლა მოსალოდნელია, რომ თურქეთი აფხაზეთში ისევ შევიდეს?***

– ნაწილობრივ. ზოგიერთმა ბიზნესმენმა, რომელიც აფხაზეთში საქმიანობდა, სხვაგან გადაიტანა თავისი ბიზნესი.

***– ფიქრობთ, რომ აფხაზეთში ვადამდელი არჩევნები იქნება?***

– ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე რეგიონში. არამარტო რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობებზე. ერთმანეთთან კონფლიქტში არიან აზერბაიჯანი და სომხეთი. ორივე მათგანს იარაღს რუსეთი აწვდის. აფხაზეთიც რეგიონის ნაწილია.

***– გიგა ოთხოზორიას მკვლელის დასჯა თუ მოხერხდება?***

– ზუსტად არაფრის თქმა არ შეიძლება. გიგა ოთხოზორიას მკვლელობამ პროცესები დააჩქარა. ამ საზარელმა მკვლელობამ აღაშფოთა აფხაზეთის უბრალო მოქალაქეები, რომლებიც სამკურნალოდ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან. ეს დანაშაული ამ ტერიტორიაზე მოხდა და წესით, მკვლელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გასამართლდეს.

უბედურება ისაა, რომ წინასაარჩევნო პერიოდია და ხელისუფლებას ღიად ებრძვიან პოლიტიკური ძალები. ამ ვითარებაში ხელისუფლება მკვეთრ ნაბიჯებს ვერ დგამს. მათ შორის, ამ საკითხშიც. შარზე მყოფი ეს ვითომ პოლიტიკოსები ყველაფერზე ტეხენ ხმაურს. მაჟორიტარებზეც გაუგებარი აჟიოტაჟი იყო.

***– რატომ იყო გაუგებარი აჟიოტაჟი?***

– იმიტომ, რომ მაჟორიტარებს ორპალატიანი პარლამენტი ითვალისწინებს. ასეთი ჩანაწერი კონსტიტუციაში არსებობს. თუ გაუქმებაა, მაშინ ჯერ კონსტიტუცია უნდა შეცვალონ. თანაც, ხალხს ხშირად ვხვდები და მოქალაქეებისგან არ მომისმენია მაჟორიტარების გაუქმების მოთხოვნა. ეს არაა მოსახლეობის დაკვეთა. კანონმდებლობაში სხვა საკითხებიც მოსაგვარებელია.



**„საქართველოს კონსტიტუცია სერიოზულადაა გადასახედი“**

***– მაგალითად?***

– რესტიტუციის და დევნილებისთვის კომპენსაციის გაცემის შესახებ კანონი. ასეთი კანონი 2007 წელს პარლამენტმა რატომღაც მარტო ცხინვალის რეგიონის მიმართ მიიღო. აფხაზეთთან მიმართებაში ის მისაღებია. კანონმა უნდა მოაგვაროს ისიც, რომ დევნილების პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მმართველობებიც.

კიდევ ერთი პრობლემაა აფხაზეთიდან დევნილთა ის კატეგორია, რომელსაც დახმარებაც ესაჭიროება, საცხოვრებელი ფართიც. ეს ადამიანები ვერ მიდიან დევნილთა სამინისტრომდე. ჩვენ მათთვის დახმარების გაწევას ვცდილობთ.

# მაგდა პაპიძეს უვადო პატიმრობა მიესაჯა



შვილისა და მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მის საქმეზე თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა 5 ივლისს გამამტყუნებელი ვერდიქტი, სათათბიროდ განკუთვნილ პირველივე სამ საათში – 2 საათსა და 35 წუთში, ერთხმად -12 ხმით მიიღეს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის 19 დეკემბერს, მაგდა პაპიძე ქმრისა და არასრულწლოვანი შვილის საზარელი მკვლელობიდან რამდენიმე საათში ცხელ კვალზე დააკავეს.

**ნიუსპრესი**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს სპეციალური მიწამწოვი ტექნიკის გამოყენებით.

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ფოთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 91 200 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ფოთის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

12 229 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 222,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

6 315 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს პოტენციური „ზესტაფონი 4„ ჰესის არეალში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. სიქთარვას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილაზე ,,ჩოლაბურის„ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 55 800 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. სიქთარვას მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

7 965 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

796,5 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

4 183 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 8 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 7 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 7 აგვისტოს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

4 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

– წინა პლანზე დავაყენებ როგორც ოთხეულს, ისე ასოციაციის თასს. აქამდე რამდენიმე დიდ კლუბში ვიმუშავე და ვიცი, რომ ისეთ კლუბებში, როგორიც არის მანჩესტერი, ფეხბურთელებს ყოველწლიურად უფრო მეტისა და მეტის სურვილი უჩნდებათ, რაც ბუნებრივია და მივყავართ ცვლილებებისკენ. პირველ რიგში გუნდში დასაბრუნებელია წარმატებულის მენტალიტეტი. არ მინდა ფეხბურთელებმა თქვან, რომ მოსამატებელი აქვთ. ოთხეულში დაბრუნება თავისთავად იქნება ამის დასტური.

***– რას იტყვით ჩელსიში გატარებულ ბოლო სეზონზე, რომელიც არცთუ წარმატებული გამოდგა?***

– 53 წლის ვარ და არა 63 ან 73, ამიტომაც ახალგაზრდა მწვრთნელად ვთვლი თავს. რეალობა ის არის, რომ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში გასაჭირში ვიყავი. პირველი თვე ნორმალური იყო. მეორე თვე უკვე აღარ, ხოლო დანარჩენი – სრული კრახი.

***– სატრანსფერო გეგმები უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ?***

– არის თუ არა მესამე მოთამაშე ოფიციალურად დადასტურებული? არა, მაგრამ ძალიან მალე იქნება. ოთხ პოზიციაზე ვაპირებთ გაძლიერებას, რათა საჭირო ბალანსი შევმატოთ შემადგენლობას და გავაუმჯობესოთ შესაძლებლობები, რომლებიც მჭირდება. როგორც ყველამ იცის, მე ვარ სპეციალისტი, რომელსაც უყვარს პროფესიონალები და არა მრავალმხრივი მულტი-ფუნქციური ფეხბურთელები. ზუსტად ვიცი რა ტიპისა და აზროვნების მოთამაშე მჭირდება. თუმცა, საჭიროა 1-2 მრავალფეროვანი ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის დაგეხმარება.

***– ახალგაზრდებზე თუ გააკეთებთ აქცენტს?***

– იცით რამდენი ფეხბურთელი მყავს აყვანილი კლუბების აკადემიიდან? 49 და ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის წყალობით გავაკეთე. ზოგჯერ აწინაურებ ახალგაზრდებს, რადგან უბრალოდ არ გაქვს სხვა არჩევანი. ბევრი ტრავმიანობის გამო იძულებული ხარ გარისკო. მეორე ფაქტორი კი ის არის, რომ როდესაც არ გაქვს დიდი მიზნები, უფრო მარტივად ენდობი მათ და აძლევ თავის წარმოჩენის საშუალებას. ჩემს გუნდებში ტრავმიანობა ყოველთვის დაბალ დონეზე იყო, ამიტომ იშვიათად მომიხმია ვინმე საჭიროების გამო. ამას ვაკეთებდი საკუთარი აზრის და მოთამაშეების მონდომების ხარჯზე. ბოლო წელი იყო ერთადერთი, როდესაც არ ვიბრძოდი ტიტულისათვის. მანამდე ყოველწლიურად ბოლო მომენტამდე ვიყავი რბოლაში.

***– სამწვრთნელო შტაბიდან წავიდა რაიან გიგზი. რას იტყვით მის შესახებ?***

– არასოდეს გავურბივარ პასუხისმგებლობას, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ გიგზის წასვლა მხოლოდ ჩემი გადაწყვეტილებაა. ერთადერთი სამუშაო, რომელიც რაიანს სურდა კლუბში საბოლოოდ მე მომცეს, მეტს ვერაფერს გეტყვით. გიგზს სურდა მანჩესტერის მთავარი მწვრთნელის პოსტი, მაგრამ კლუბის მფლობელებმა გადაწყვეტილება ჩემს სასარგებლოდ მიიღეს. მან თავისი გადაწყვეტილება მიიღო, კლუბის ლეგენდაა და იმსახურებს პატივისცემას.

***– როგორც ვიცით, უკვე შეხვდით სერ ალექს ფერგიუსონს. რა რჩევები მოგცათ?***

– მან მითხრა, რომ ქოლგა წამომეღო თან. აგრეთვე მთხოვა, რომ კარგი ღვინო შემერჩია, რადგან ხშირად მოგვიწევდა ერთად ყოფნა. როდესაც შვებულებაში იქნება, მთელ დროს გაატარებს მანჩესტერში, შესაბამისად, დიდი დრო გვექნება სასაუბროდ და აგრეთვე რჩევების მისაღებად. მას ყოველთვის მივიღებთ სავარჯიშო ბაზაზე, რადგან ის ჩემი მეგობარი და კლუბის განუყოფელი ნაწილია. ფერგიუსონის აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***– რა პოზიციაზე ხედავთ რუნის ადგილს?***

– ფეხბურთში მინდორზე ბევრი სამუშაოა. ყველაზე რთულია იმის არჩევა, ვინც ბურთებს გადაგზავნის კარის ბადეში. ფეხბურთელები საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებს ასაკთან ერთად იცვლიან, ამიტომაც მათი მცირედი ტრანსფორმაცია არ არის გასაოცარი. თუმცა, ნამდვილი ბომბარდირი არასოდეს იცვლება. შესაძლოა ის აღარ არის გამოკვეთილი ცხრიანი, მაგრამ ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში არასოდეს იქნება ექვსიანის პოზიციაზე და 50 მეტრით შორს მეტოქის საჯარიმოდან. ჩემთვის, რუნი არის ცხრიანი ან ათიანი, მაგრამ არანაირად ექვსიანი ან რვიანი.

# ტატა მარტინომ ალბისელესტე დატოვა



53 წლის არგენტინელმა სპეციალისტმა, ხერარდო მარტინომ, თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მარტინომ და მისმა სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვეტილება თავად მიიღეს.

ტატა მარტინო ალბისელესტეს 2014 წლის ზაფხულში ჩაუდგა სათავეში, როდესაც შეცვალა საბელა და ორჯერ გაიყვანა გუნდი კოპა ამერიკის ფინალში, მაგრამ ორივეჯერ ჩილესთან დამარცხდა და ორივეჯერ პენალტების სერიაში.

წლევანდელი მარცხის შემდეგ არგენტინული ფეხბურთის ფედერაციამ ნდობა გამოუცხადა მარტინოს, მაგრამ ბარსელონას ყოფილმა მწვრთნელმა თავად თქვა უარი პასუხისმგებლობაზე. შესაძლოა, ამის მიზეზი ნაკრებიდან ლეო მესის წასვლაც იყოს, რადგან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაბრუნებას და მარტინოს წასვლას გულშემატკივართა დიდი ნაწილი ითხოვდა. არ არის გამორიცხული, მარტინოს წასვლის შემდეგ ნაკრებს მესი დაუბრუნდეს.

აქვე გეტყვით, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ტატა მარტინოს ადგილს.

# „მოხერხებული“ ჩიხურა



**ჩიხურა-ზიმბრუ 2:3**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0 ივანიშვილი (13), 1:1 ემერსონი (45), 2:1 კაკუბავა (55), 2:2 იარდანი (61), 2:3 ემერსონი (90)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, რეხვიაშვილი, კაკუბავა, კაშია, გრიგალაშვილი, ივანიშვილი, დობროლოვსკი, კორიფაძე, ჩიკვაიძე, ლობჟანიძე (დეკანოიძე 78), ტატანაშვილი (მუმლაძე 90)

**ზიმბრუ:** რუსუ, იარდანი, ლუანი, ემერსონი, იზალდო, ფორტესი (ბურგიუ 88), კულიბალი (ლიმა 39), ერიკი (ზაგაევსკი 80), სპანტარუ, ალექს ბრუნო, დამასკანი

ის რაც საჩხერის ჩიხურამ მოახერხა, რთული წარმოსადგენია. ზემო იმერული გუნდი სტუმრად მოგებული (1:0) მატჩის შემდეგ ორჯერ იგებდა ზესტაფონშიც, მაგრამ ზედ ბოლო წამებზე მოახერხა წაგება და ევროპის ლიგას პირველივე ეტაპზე დაემშვიდობა.

არადა, ორივე მატჩის შემხედვარე ამის მოხერხება უფრო რთული იყო, ვიდრე შემდეგ ეტაპზე გასვლა. ორივე მატჩის ნახვის საშულება გვქონდა და უნდა ითქვას, რომ ზიმბრუ სულაც არ იყო დაუძლეველი ბარიერი. სოსო ფრუიძის გუნდი ორივე მატჩში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ...

ზესტაფონში მატჩი უამინდობის გამო ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. კოკისპირულმა წვიმამ სტადიონი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ არენის მომსახურე პერსონალმა ყველაფერი იღონა, რომ მატჩი ჩატარებულიყო, მაგრამ ეს მოლდოვური კლუბისთვის აღმოჩნდა მისაღები.

მასპინძლებმა ანგარიში მალევე გახსნეს – საბა ლობჟანიძემ მარჯვენა ფლანგზე იაქტიურა, საჯარიმოში შესულმა კარშიც დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო დამატებაზე გიორგი ივანიშვილმა ივარგა – 1:0.

გოლის შემდეგაც ჰქონდა ჩიხურას მომენტები, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე გოლი საკუთარ კარში მიიღეს – ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე მცველებს ემერსონი გაეპარათ და მანაც ახლო მანძილიდან გაათანაბრა – 1:1.

მე-2 ტაიმი 10 წუთის განახლებული იყო, როდესაც ლევან კაკუბავამ მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და ჩიხურა ისევ დააწინაურა – 2:1. თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა – ზიმბრუ არ ჰგავდა იმ გუნდს, რომ დარჩენილ დროში 2 ბურთი გაეტანა. ეს ერთი შეხედვით, თორემ გაიტანეს და ამაში საჩხერლებიც წაეხმარნენ.

ჯერ იყო და იარდანმა გაათანაბრა, ხოლო ისევ ბოლო წუთზე და ისევ ემერსონმა საბოლოო შედეგი დააფიქსირა და ჩიხურაც ევროპას დაემშვიდობა.

# ლეო მესის 21-თვიანი პატიმრობა მიესაჯა



ქალაქ ბარსელონის სასამართლომ საფეხბურთო კლუბ ბარსელონას არგენტინელ ვარსკვლავს, ლიონელ მესის და მამამისს, ხორხე მესის გადასახადებისთვის თავის არიდების გამო 21-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ლეოსა და მამამისს ბრალი 2013 წლის ზაფხულში წაუყენეს. ორივე მათგანს ბრალი საგადასახადო დეკლარაციების გაყალბებასა და გადასახადებისთვის თავის არიდებაში ედებოდა. საქმე ესპანეთის ტერიტორიაზე, 2007-09 წლებში, არგენტინელი ფორვარდის საიმიჯო უფლებების გამოყენებისთვის მოგების გადასახადს ეხება. გამოძიების ვერსიით, ამ ყველაფრით ესპანეთის ბიუჯეტმა 4,1 მლნ ევრო იზარალა.

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეხბურთელს ციხეში ჩაჯდომა არ ემუქრება, რადგან განაჩენი არ ითვალისწინებს ამის აუცილებლობას. ესპანური კანონმდებლობით, 2 წელიწადზე ნაკლები პერიოდის სასჯელის პირობითი პატიმრობის სახით მოხდა შეიძლება.

# ხელბურთელთა ნაკრები მე-13-18 ადგილებისთვის იბრძოლებს



საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ნაკრებმა გეტებორგში, ევროპის ღია პირველობაზე ჯგუფში 4 მატჩი გამართა, აქედან 1 ფრედ დაასრულა, ხოლო 3 წააგო და ბრძოლას მე-13-18 ადგილებისთვის აგრძელებს

იმის გამო, რომ გუნდებს დღეში 2-2 მატჩი უწევდათ, საწყის ეტაპზე 20-20 წუთიანი ტაიმები იმართებოდა. საქართველოს ნაკრებს გეტებორგში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია – ჩოგოვაძე, ღვალაძე და გადელია. ამას დაუმატეთ, რომ გუნდის სამი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

**6 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ალაშკერტი-სანტა კოლომა | 3:0 |
| ტორსჰავნი-ვალეტა | 2:1 |
| ტრე პენე-ტნს | 0:3 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ბირკირკარა-შიროკი | 2:0 |
| ჩიხურა-ზიმბრუ | 2:3 |
| ჟენესი-სტ.პატრიკსი | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ვესელი-ბერდიხი | 6:4,3:6,6:7,7:6,3:6 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| ვ.უილიამსი-შვედოვა | 7:6, | 6:2 |
| ჰალეპი-კერბერი | 5:7, | 6:7 |
| ს.უილიამსი-პავლუჩენკოვა | 6:4, | 6:4 |
| ციბულკოვა-ვესნინა | 2:6, | 2:6 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სროლა სოხუმის ცენტრში

## დაჭრილია სახელმწიფო დაცვის 4 თანამშრომელი

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთში პოლიტიკური ტემპერატურა პიკს აღწევს. 5 ივლისს დაწყებული არეულობა სროლაში გადაიზარდა. დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. სოხუმში შიშობენ, რომ ეს ამბავი ამით არ დასრულდება და მას აუცილებლად ექნება გაგრძელება.**



ოპოზიციამ, რომელიც შს მინისტრის გადადგომას და რეფერენდუმის თარიღის შეცვლას ითხოვდა, რამდენჯერმე მიიტანა იერიში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე. ბოლოს მათ შსს-ს მოლოტოვის კოქტეილიც ესროლეს, რის შედეგადაც ხანძარი გაჩნდა, რომელიც ძალოვნებმა მალევე ჩააქრეს.

ძალოვნებისა და ოპოზიციონერების შეტაკებებისას რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა. რესპუბლიკის მთავარი პროკურორის ალექსი ლომიას განცხადებით, 16 მათგანი საავადმყოფოებში იქნა გადაყვანილი.

5 ივლისის არეულობების გამოძიებას აფხაზეთის მთავარი პროკურატურა აწარმოებს. გამოძიების დასრულებამდე გადაყენებული იქნება შს მინისტრი ლეონიდ ძაპშბა. ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ მისი გადაყენება იყო. აქციის მონაწილეები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც რაულ ხაჯიმბამ განკარგულებას ხელი მოაწერა. მოკვლევის დასრულებამდე მინისტრის მოვალეობას ბორის აბიტოვი შეასრულებს.

შს სამინისტროსთან დაწყებული არეულობა ქალაქის სხვა უბნებშიც გავრცელდა. ოპოზიციონერებმა და ძალოვნებმა საქმის გარჩევა რესტორან „ელბრუსის" მიდამოებშიც სცადეს. გარჩევა სროლაში გადაიზარდა, რომლის შედეგადაც სახელმწიფო დაცვის 4 თანამშრომელი დაიჭრა. ექიმების განცხადებით, ყველა მათგანის მდგომარეობა სტაბილურია.

აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი მუხამედ კილბა ითხოვს, რომ დამნაშავეები მკაცრად დაისაჯონ.

– ამ ხალხის მიზანი არეულობის მოწყობა და სისხლისღვრა იყო. საუბედუროდ, სისხლი დაიღვარა. დამნაშავეები კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯონ, – ამბობს კილბა.

უშიშროების საბჭოს მდივანი ვარაუდობს, რომ ოპოზიციამ ეს ყველაფერი რეფერენდუმის ჩასაშლელად მოაწყო. იგივე მოსაზრება აქვს რაულ ხაჯიმბასაც.

კილბას განცხადებით, ოპოზიციას თავიდანვე არ სურდა რეფერენდუმი.

– ისინი ეჭვობენ, რომ რეფერენდუმზე მოსახლეობა მხარს დაუჭერს პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რეფერენდუმი არ დაინიშნებოდა. ის დაინიშნა და რეფერენდუმამდე რამდენიმე დღით ადრე მათ ეს არეულობა მოაწყვეს, – ამბობს უშიშროების საბჭოს მდივანი.

რეფერენდუმი აფხაზეთში 10 ივლისს უნდა გაიმართოს. მთავრობა აცხადებს, რომ მის ჩასატარებლად ყველაფერი მზად არის.

მართალია, რეფერენდუმის თარიღის შეცვლას არ აპირებს, მაგრამ რაულ ხაჯიმბა ოპოზიციასთან მოლაპარაკებებისთვის მზად არის.

– პრობლემა ჯერ კიდევ არ მოგვარებულა. ოპოზიციას აქვს სხვა მოთხოვნებიც. მოლაპარაკებები გაგრძელდება. თუ საჭირო გახდება, ჩვენ შევკრებთ ხალხს და ვითარებას განვიხილავთ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ხვალინდელ დღეზე და კანონის შესაბამისად ვიმოქმედოთ. რაც შემეხება მე, მე აქ ვარ მანამ, ვიდრე, კონსტიტუციის მიხედვით, ჩემი პრეზიდენტობის ვადა 2019 წელს არ ამოიწურება, – განაცხადა ხაჯიმბამ.

6 ივლისს საღამოს სოხუმში კიდევ ერთი აქცია გაიმართა. 1.000-მდე ადამიანი ამჯერად პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის წინ შეიკრიბა. აქციის მონაწილეთა შორის იყო რაულ ხაჯიმბაც. აქციის მონაწილეებმა 5 ივლისის მოვლენები დაგმეს და დამნაშავეების მკაცრად დასჯა მოითხოვეს.

აფხაზეთში ვარაუდობენ, რომ სიტუაცია 10 ივლისის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბება.

* * *

გარდა იმისა, რომ აფხაზებს პოლიტიკურად წაეკიდათ ცეცხლი, ეკონომიკური ზარალიც მიადგათ. 5 ივლისის სისხლიანი ღამის შემდეგ ტურისტების ნაწილმა აფხაზეთი დატოვა.

აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი შიშობს, რომ ამის შემდეგ ბევრი ტურისტი გადაიფიქრებს მათთან ჩასვლას.

– ტურისტებს სიმშვიდე სჭირდებათ და როცა არეულობის მოწყობას შეეცდება ვინმე, ამაზეც იფიქროს, – აღნიშნა კილბამ.



## ბათუმში გიორგი პაპუაშვილის წინააღმდეგ აქცია გაიმართა

„ახალგაზრდა ადვოკატების" ორგანიზებით, ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს მიმართავენ, გიორგი პაპუაშვილისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეჩერებაზე იმსჯელოს.

აქციის მონაწილეების თქმით, საქმე ეხება 2004 წელს ჩამორთმეულ ქონებას, კერძოდ, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტის დირექტორის უფროსის ყოფილი მოადგილის როლანდ ბლადაძის საცხოვრებელ სახლს, რომელიც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" გიორგი პაპუაშვილს გადასცა.

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არა მხოლოდ კანონთან, არამედ კონფლიქტშია ქართულ სახელმწიფოსთანაც, რადგანაც ის არის საჯარო მოხელე, რომელიც უარს აცხადებს მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ალტერნატიულ შეთავაზებაზე, რომ როლანდ ბლადაძემ მიიღოს ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფა, რაც არის კანონის პირდაპირი დარღვევა, როდესაც საჯარო მოხელეს უფლებამოსილება არა აქვს, რომ სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროს უარი თქვას ალტერნატიულ შეთავაზებებზე.

სახელმწიფოს აქვს მზაობა, რომ როლანდ ბლადაძესა და გიორგი პაპუაშვილს შორის შედგეს მორიგების აქტი და ამას მხოლოდ აჭიანურებს გიორგი პაპუაშვილი. სწორედ ამის გამო თბილისი საქალაქო სასამართლოში თვენახევრის განმავლობაში უკვე სამჯერ გადაიდო სასამართლო სხდომა. ეს არის მოსამართლის ულირსი საქციელი. დღევანდელი აქცია არის გამაფრთხილებელი და საჯაროდ თქმა, რომ გიორგი პაპუაშვილი ჩამორთმეულ სახლში ცხოვრობს, – განაცხადა აქციაზე მყოფმა როლანდ ბლადაძის ადვოკატმა არჩილ კაიკაციშილმა.

აქციაზე როლანდ ბლადაძის ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

– სასამართლო პროცესები რამდენჯერმე გაიმართა, სადაც ჩემი ძმა გამართლდა, არანაირი დანაშაული მას არ ჩაუდენია სახელმწიფოს წინაშე. მცირეწლოვანი სამი ბავშვი ღია ცის ქვეშ დატოვეს და არანაირი თავშესაფარი არ მისცეს. მოვითხოვთ ჩვენი საკუთრების დაბრუნებას, რომელიც უკანონდო არის ჩამორთმეული ნაციონალური მოძრაობის მიერ, – აღნიშნა როლანდ ბალაძის დამ, მანანა ბლადაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## არჩილ ხაბაძე გადადგა

შორენა მარსაგიშვილი



აჭარის რეგიონი მთავრობის მეთაურის გარეშე დარჩა. არჩილ ხაბაძემ გუშინ, 6 ივლისს, თანამდებობა დატოვა.

რამდენიმე დღის წინ მას თანამდებობის დატოვება ნაციონალურმა მოძრაობამ მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებით დაიმუქრნენ.

თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება ხაბაძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი გადადგომის შემდეგ თანამდებობა აჭარის ოთხივე მინისტრმა ავტომატურად დატოვა, მინისტრების მოადგილეებს კი ახალი მინისტრების დანიშვნამდე უფლებამოსილება შეუწყდათ.

– ჩვენ აქტიურად მოვემზადებით საარჩევნო პროცესისთვის, იმ გამოწვევებისთვის, რაც მოცემულ შემთხვევაში გვაქვს. ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში და ამას აუცილებლად წარმოვაჩენთ, არავის მივცემთ უფლებას, რომ დისკრედიტაცია გაუკეთოს დღევანდელ მთავრობას.

მათ, ვისაც ამაზე პრეტენზია აქვთ, ამდენი არ გაუკეთებიათ ჩვენი რეგიონისთვის. შესაბამისად, ჩვენ გადავერთვებით საარჩევნო პროცესებზე. ეს იქნება არჩილ ხაბაძე, ჭეიშვილი, სურმანიძე თუ სხვა, ეს იქნება გუნდის გაძლიერება, – განაცხადა ხაბაძემ.

მისი თქმით, რამდენიმე დღეში გადაწყდება, ამ გუნდში ვინ სად იქნება.

– შესაძლებელია სათავეში ჩავუდგე უმაღლესი საბჭოს სიას, შესაძლებელია, პარლამენტში მოვხვდე გამსვლელ სიაში, ან სხვა პოზიციებზე. უახლოეს პერიოდში გეცოდინებათ, – ამბობს მთავრობის ყოფილი მეთაური.

გავრცელებული ინფორმაციით, მას ზურაბ პატარაძე შეცვლის. პირველმა ეს ინფორმაცია დეპუტატმა მურმან დუმბაძემ გააჟღერა. მისი ინფორმაციით, პატარაძეს 2 კვირის წინ ჰქონდა შეხვედრები უმაღლეს საბჭოში.

– ის ეძებს მხარდამჭერებს. იმისთვის, რომ ეს თანამდებობა დაიკავოს, 11 ხმა სჭირდება. უმაღლეს საბჭოში 21 დეპუტატია. პატარაძე და „ოცნება" 11 კაცს ვერ აგროვებენ, – აცხადებს დუმბაძე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი პატარაძეს ნაციონალებთან დაახლოებულ პირად მიიჩნევს. ამის მიუხედავად, მას დადებითად ახასიათებს. დადებითად ახასიათებს პატარაძეს არჩილ ხაბაძეც.

– პატარაძე არის ჩვენი კუთხის შვილი, გამოცდილი დიპლომატი და პროფესიონალი თავისი საქმის და მისი ცოდნა და კომპეტენცია არის გამოსაყენებელი. როგორ იქნება მისი რესურსი გამოყენებული, ამასაც დამატებით გაცნობებთ. მთავარია, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ, – განაცხადა არჩილ ხაბაძემ.

მურმან დუმბაძე ხაბაძის გადადგომას გიორგი კვირიკაშვილს უკავშირებს.

– ის ყოველთვის თვლიდა, რომ ხაბაძე მთავრობის მეთაური არ უნდა ყოფილიყო. როგორც კი კვირიკაშვილი პრემიერი გახდა, მაშინვე ვიფიქრე, რომ მალე მოუწევდა ხაბაძეს წასვლა. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, – განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბარში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

## ასტროპროგნოზი
### 7 ივლისისთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დღის პირველ ნახევარში კოლექტიური მუშაობა არასასურველია. მეორეხარისხოვან დეტალებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. **კურო** – პლანეტები აქტიურობას არ გირჩევენ. ნუ გარისკავთ. ერიდეთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – დღეს სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. კომერციულ საქმიანობაში აქტიურობა საჭირო არ არის. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. **კირჩხიბი** – წარუმატებლობებს ნუ შეეპუებით. არ მოდუნდეთ. ოჯახის წევრებთან უთანხმოებაა მოსალოდნელი. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. კოლექტიური საქმიანობა არასახარბიელო შედეგს გამოიღებს. **ქალწული** – ამბიციურობა და აგრესიულობა სიტუაციას ძალიან დაძაბავს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე – სამსახურში. დღეს კარიერაზე ფიქრის დრო არ არის. **სასწორი** – ენერგია მოგიზღვავდებათ. საქმიან პარტნიორთან შეხვედრები სასიკეთოდ დამთავრდება. გელით ასევე მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **ღრიანკალი** – ცდუნებამ არ დაგძლიოთ. პროვოკაციული დღეა. ნებისმიერი მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. **მშვილდოსანი** – კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მხოლოდ ჩვეული საქმიანობით დაკავდით. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან და კოლეგებთან ურთიერთობისათვის. პრობლემები თავისთავად მოგვარდება. **მერწყული** – ისწრაფეთ სიახლისა და თვითშემეცნებისკენ. აქტიურობა სასიკეთოდ დამთავრდება. **თევზები** – გაიფართოვეთ ცოდნა. სრულყოფილებისაკენ ლტოლვა დღის დევიზია. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის მაჩვენებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 2. სატანვარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. ერთკუზიანი აქლემი; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. ნაყინის მოსამზადებელი აპარატი; 16. ლიტვის ძველი სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 22. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში.

**თარაზულად:** 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 8. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული; 9. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 14. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ბაღჩეული ხილი; 20. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. ქართული სიგარეტი; 24. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 25. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 26. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იუბილე; 2. შამოტი; 3. ლისტი; 5. პოლო; 6. ლუხუნი; 8. ჰამერი; 11. აფსარუნტი; 13. მაესტრო; 14. ფარვანა; 15. პიანისტი; 19. ხოკუ.

**თარაზულად:** 1. ივანიშვილი; 4. აკაპელა; 7. ბუდიზმი; 8. ტამანგო; 10. იალტა; 12. სტეინიცი; 16. ბირთვისი; 17. ნეკრესი; 18. კვაწარახი; 20. ტაივანი; 21. ლოტი; 22. თეთნულდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად;** 1. ბარძიმი; 2. მიკიტანი; 3. სკაფანდრი; 4. ლომბერი; 5. მიკროსკოპი; 10. ტაბორი; 11. სუბიექტი; 12. ვაიმარი; 13. მორჩილი; 16. ქიმერიონი; 17. მესაჯერო; 19. იმბეცილი; 21. ბორდო; 23. სინჯი.

**თარაზულად:** 6. კაზუისტიკა; 7. ბოლნისი; 8. ჯიბუტი; 9. მაჭახელა; 14. ფოცხვერი; 15. ადიულტერი; 18. მეტრი; 20. ლეჩხუმი; 22. ყისმათი; 24. თორაძე; 25. ბოლივუდი; 26. კოჯორი.

# ალმოჩენა იშხანში



თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ტაძარში, იშხანში უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა. იშხანში მთავარ ტაძარში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სამარხი.

ინფორმაციას კვლევის ცენტრი ავრცელებს:

– სამარხი შელესილია და მის ოთხივე კედელზე წითელი საღებავით, სინგურით შესრულებულია ჯვრები და ვრცელი წარწერები. დასმულია თარიღიც „ქორონიკონსა სკთ“, ანუ 1009 წელი. სამარხი უთუოდ ძალზე მნიშვნელოვან პირს ეკუთვნოდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტაძარში აღმოჩენა კეთდება. რამდენიმე თვის წინ იშხანში ტაძრის დასავლეთ კედელზე მხატვრობა აღმოაჩინეს.

კვლევის ცენტრის ინფორმაციით, ტაძრის დასავლეთ კარის თავზე სამი წმინდანის გამოსახულება აღმოჩნდა:

– ტაძრის დასავლეთ კარების თავზე მხატვრობის გასუფთავების შემდგომ გამოჩნდა სამი წმინდანის გამოსახულება წარწერებით. ეს გამოსახულება ცნობილია როგორც „სამი ყრმა სახმილსა შინა“.

აქ მოთხრობილია ძველი აღთქმის ამბავი, ნაბუქოდონოსორის მიერ სამი ყრმის, ანანიას, აზარიასა და მისაელის ცეცხლში, სახმილში ჩაყრა და მათი სასწაულებრივად გადარჩენა. ამ სცენას, როგორც წესი, აღდგომის იდეის გადმოსაცემად იყენებდნენ. პალეოგრაფია ადრეულია X-XI საუკუნეებისა. იკითხება: მარცხნივ „[ა]ნ[ა]ნ?ა“, შუაში „აზარია“, მარჯვნივ „მისაი[ლ].

# ახალგაზრდა მომღერლის გადასარჩენად კოლეგები ერთიანდებიან




ახალგაზრდა მომღერლისა და ლოტბარის ზვიად ბერიაშვილის გადასარჩენად მისი კოლეგები ერთიანდებიან.

ახმეტელის თეატრის მუსიკალურ ხელმძღვანელს, ანსამბლ „ქალდეასა“ და ბავშვთა ფოლკლორული გუნდის „დავითიანის“ ხელმძღვანელს და ანსამბლების „იმერისა“ და „მუხამბაზის“ წევრს სიმსივნე აღმოაჩნდა.

ზვიადს სასწრაფოდ ესაჭიროება საზღვარგარეთ, კერძოდ კი თურქეთში მკურნალობა, რისი ფინანსებიც ოჯახს არ გააჩნია. სხვადასხვა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და მომღერლებმა სოციალურ ქსელში უკვე გაავრცელეს მხარდასაჭერი ვიდეორგოლი, რომლითაც ზვიად ბერიაშვილის დასახმარებლად სრულიად საქართველოს მოუწოდებენ.

ზვიად ბერიაშვილის დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიში გაიხსნა.

# თემო საჯაიამ ახალი კლიპი ლეიკემიით დაავადებულებს მიუძღვნა

მომღერალმა თემო საჯაიამ თავისი ახალი კლიპი ლეიკემიით დაავადებულ პატარებს მიუძღვნა და მათი მონაწილეობით ვიდეორგოლი გადაიღო.

სიმღერა სახელწოდებით „ერთად“ ქეთი გაბისიანმა დაწერა, ტექსტი კი ირინა სანიკიძემ.

– ჩვენ გავიმარჯვებთ! ლეიკემია მარცხდება! – ამ მოწოდებით მომღერალმა სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადა იმ პატარებს, რომლებიც იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ლეიკემიას ებრძვიან.

თემომ ბავშვების მდგომარეობა მაქსიმალურად გაითავისა, სოლიდარობის ნიშნად თავიც გადაიპარსა და სპეციალური ვიდეოკლიპი გადაიღო. კლიპში ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებთან ერთად საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებიც მონაწილეობენ.

თემო საჯაია:

– მთავარია, ერთად ვიყოთ, ეს ნამუშევარი ეძღვნება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, გვახსოვდეს, რომ ლეიკემია განკურნებადია!!!! დიდი მადლობა ქეთი გაბისიანს ასეთი ემოციური სიმღერისთვის, ირინა სანიკიძეს ასევე ემოციური ლექსისთვის და მთლიანად „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“-ს იმისათვის, რომ მე მხვდა პატივი და ამ პროექტში მივიღე მონაწილეობა!!!



# თენგიზ მუშკუდიანს ვარსკვლავს გაუხსნიან




გამოჩენილ ქართველ საოპერო მომღერალს, ბრწყინვალე ბანს თენგიზ მუშკუდიანს ოპერისა თეატრის წინ 14 ივლისს ვარსკვლავს გაუხსნიან.

ვარსკვლავის გახსნამდე თეატრში საზეიმო გალა-კონცერტი გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ოპერის წამყვანი სოლისტები, ორკესტრი და თენგიზ მუშკუდიანის მოწაფეები. სადირიჟორო პულტთან ერთმანეთს შეენაცვლებიან ზაზა აზმაიფარაშვილი, რევაზ ტაკიძე და გიორგი ჭიჭინაძე.

თენგიზ მუშკუდიანს 89 წელი რამდენიმე კვირის წინ შეუსრულდა. ხელოვანი დღესაც ზრდის საოპერო ხელოვნების ახალ თაობებს და თავის გამოცდილებას გადასცემს კლასიკური მუსიკის მოყვარულებს.



# ქართველი ბარიტონი გერმანიაში ორ წამყვან პარტიას იმღერებს

უცხოეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი საოპერო მომღერალი გოჩა აბულაძე გერმანიაში ჯაკომო პუჩინის ოპერაში „ბოჰემა“ ორ წამყვან პარტიას იმღერებს.

ბარიტონი ჰაიდენჰაიმის ფესტივალზე პუჩინის ოპერაში მარჩელოს და შონარის არიებს შეასრულებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ფრანგული რადიო: „თინა ხიდაშელის გადაწყვეტილებამ ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში აჟიოტაჟი გამოიწვია“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის მიერ გამოცემულ ბრძანებას, რომლის თანახმადაც არმიაში სავალდებულო-სამხედრო გაწვევა უქმდება, ფრანგული რადიოსადგური „რადიო ფრანსე ინტერნასიონალე“ ეხმაურება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სიუჟეტის რეზიუმეს:

– საქართველო შესაძლოა რეგიონში პირველი ქვეყანა გახდეს, სადაც არმია მხოლოდ საკონტრაქტო საფუძველზე ჩამოყალიბდება – კავკასიის მთიანი სახელმწიფოს პირველმა ქალმა მინისტრმა ჟურნალისტების თვალწინ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ქართული არმიის ახალწვეულებით დაკომპლექტებას კრძალავს. თინა ხიდაშელი მთავრობაში „რესპუბლიკურ პარტიას“ წარმოადგენს, რომლის წევრები ყოფილი საბჭოთა დისიდენტები და ლიბერალური ინტელექტუალები არიან.

თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნის შემდეგ იგი ყველაფერს აკეთებდა არმიის ჩამოყალიბების საკონტრაქტო საფუძველზე გადასვლისათვის. დღეს არმიის 97% უკვე კონტრაქტითაა დაკომპლექტებული და მხოლოდ 3% – ახალწვეულებით, რომლებიც მხოლოდ დამხმარე ფუნქციას ასრულებენ – სხვადასხვა სამხედრო ობიექტების დაცვა, ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ.

ერთი შეხედვით ეს ფუნქციები თითქოსდა დიდი არაფერია, მაგრამ საქმეში ჩახედული ადამიანისათვის ის მნიშვნელოვანია, რადგან ბიუჯეტში თანხების დაზოგვა-ეკონომია ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტების დაცვა (საყარაულო სამსახური) კონტრაქტზე უნდა გადავიდეს, რისთვისაც დამხმარე პერსონალსაც დიდი ხელფასი უნდა გადაუხადონ. მაგრამ, როგორც ჩანს, თინა ხიდაშელმა ჩათვალა, რომ ნატოს ვარშავის სამიტის წინ, საკონტრაქტო არმიაზე დემონსტრაციულად სრული გადასვლა უფრო მომგებიანია, ვიდრე რამდენიმე მილიონი ლარის დაზოგვა ბიუჯეტში.

საინტერესოა, რადგანაც სამხედრო გაწვევის საკითხს კონსტიტუცია და კანონები არეგულირებენ, აქედან გამომდინარე, თავდაცვის მინისტრის ბრძანება სამხედრო გაწვევას მთლიანად კი არ აუქმებს, არამედ ნაწილობრივ: გაწვევა შენარჩუნდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სახელმწიფო დაცვის უწყებაში, პენიტენციალურ დაწესებულებებში და ა.შ. თინა ხიდაშელის



გადაწყვეტილებამ ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, რომ საკონტრაქტო საფუძველზე შექმნილი არმია ქვეყანას აგრესორისაგან ვერ დაიცავს, რამდენადაც ასეთი არმია საექსპედიციო ხასიათისაა.

„რადიო ფრანსე ინტერნასიონალეს“ კორესპონდენტი ესაუბრება ქართული სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორ ირაკლი ალადაშვილს:

– მიზანშეწონილი არ იქნება, რომ ბრმად გადავიღოთ არმიის ფორმირების ამერიკული, რუსული ან გერმანული სისტემა. აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საქართველოს სპეციფიკა და ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, – ამბობს იგი.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ხელბურთელთა ნაკრები მე-13-18 ადგილებისთვის იბრძოლებს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

წევრი 14-15 წლისაა და, შესაბამისად, ძირითად შემადგენლობას, ფაქტობრივად, შეუცვლელად უწევს თამაში. აქედან გამომდინარე, შედეგი რეალურია...

პირველი მატჩი ჩვენთვის კარგად დაიწყო – ჯგუფის ფავორიტ საფრანგეთთან მეკარე ჩაჩუამ რამდენიმე ბურთი მოიგერია და 3:0 დავწინაურდით. საქართველოს ნაკრებმა უპირატესობა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა და 9:8 მოიგო, მაგრამ ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა, რომელსაც მანამდე უკვე წაგებული ჰქონდა ჰოლანდიასთან, შესვენების შემდეგ სრული კონცენტრაციით ითამაშა და 20:12 გაიმარჯვა. სულ 3 გოლი მეორე ტაიმში – ეს ძალიან ცუდი შედეგია...

შემდეგი მატჩი ავსტრიელებთან იყო. მეტოქე თავიდანვე დაწინაურდა, ტაიმი 13:7 მოიგო, ხოლო ჯამში 23:14 გაიმარჯვა.

მესამე მატჩი უკვე ფინელებთან მოგვიწია და აქაც ხელიდან გავუშვით გამარჯვება. ქართველებმა ტაიმი 8:7 მოიგეს, ხოლო მატჩის დასრულებამდე დასრულებამდე 3 წუთით ადრე წინ ვიყავით – 15-12. თუმცა, იმდენი მოვახერხეთ, რომ დარჩენილ დროში მეტოქეს გათანაბრების საშუალება მივეცით – 15:15.

ჰოლანდია ფავორიტი იყო და ჯგუფი მოიგო კიდეც, ცხადია, არც ჩვენთან გამარჯვება გასჭირვებია. მეტოქემ 24:16 გვაჯობა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველო კი, როგორც გითხარით, ბრძოლას მე-13 ადგილისთვის გააგრძელებს. შეიქმნა ორი სამგუნდიანი ჯგუფი. ჩვენების მეტოქეები დღეს სლოვაკეთი და ისლანდია იქნება. იმის, მიხედვით, თუ რომელ ადგილს დავიკავებთ ჯგუფში, გაირკვევა ჩვენი მეტოქე 8 ივლისის ფინალისთვის.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 7 ივლისი**

**07.30** დ/ფ "არქიტექტურა" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – 2016" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.30** დ/ფ "ფეხბურთის მეამბოხენი" **22.00** ევრო-**2016. 22.50 ფეხბურთი** ევრო **2016. 1/2** ფინალი. **01.00** ევრო-**2016. 01.25** მხ/ფ "**ზებუნებრივი პალკი**" (ლ.ტაილერი) **03.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **04.00** "ხანმოკლე XX საუკუნე"

**08.00, 10.10, 12.00, 14.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ახალგაზრდული სული" **13.00** დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **18.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **19.00** ეროპის ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის I რაუნდი: "**სამტრედია**" – "**გაბალა**" (აზერბაიჯანი) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **4** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**საუკეთესო რაც კი ჩემშია**" **02.30** მხ/ფ "**მითი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები"- მეამბოხეები **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 03.35** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**", **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **00.00** სერ. "**საშინელი ზღაპრები**", **01.30** მხ/ფ "**კერკეტი კაკალი**"

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ფიკუსი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**მევლუდი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ან/ფ **16.50** დ/ფ "ღირსი ასურელი მამა ისიდორე სამთავნელი" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.30** ამბიონი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00, 19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **9.25** ევროპის ჩემპიონატის დღიურები **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**7 ივლისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3076

ევრო — 2.5679

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0659

100 რუსული რუბლი — 3.6128

**ამინდის პროგნოზი 7 ივლისისთვის**





## 5 ივლისიდან



ალექსანდრე დიუმა

**დედოფალი მარგო**

*მთელი რომანი ერთ წიგნში*

მაგარი ყდა, 662 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## იუმორი



შვებულებიდან სახლში დაბრუნებულ ქალს მეზობელი ირონიული ღიმილით ეუბნება:

– შენს ქმართან ყოველ საღამოს ქალების რიგი იდგა.

– მერე რა არის ამაში უჩვეულო? გინეკოლოგია და სახლშიც მუშაობდა!

●●●

ბებია შვილიშვილს ეუბნება:

– სხვათა შორის, შენი ასაკის რომ ვიყავი, უკვე ვმუშაობდი!

– მართლა? სხვათა შორის, შენი ასაკის რომ ვიქნები, ისევ ვიმუშავებ!

●●●

ევროპის ჩემპიონატზე ისლანდიის მოსახლეობის 99,8 პროცენტი ფეხბურთს უყურებდა, ხოლო დანარჩენი თამაშობდა.

●●●

ნამდვილი ინტელიგენტი ქალს არასოდეს ეტყვის: „რა სულელიც იყავი, ისეთივედ დარჩი“.

ის ქალს ეტყვის: „დრომ ვერაფერი დაგაკლოთ, ის თქვენ წინაშე უძლურია“...

***

პოლიკლინიკაში პაციენტი ექიმს ეკითხება:

– თქვენთან რენტგენის სურათი რა ღირს?

– როგორი გნებავთ, ჩვეულებრივი?

– არა, მხარზე მაიმუნით და უკან ზღვის პეიზაჟით, პალმებით!

●●●

მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად სურათი გადაიღო და ცდილობს, ყოველ მათგანს ერთი ცალი მიჰყიდოს. ბავშვებს ეუბნება:

– წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება, როდესაც უკვე დიდები იქნებით, დახედავთ სურათს და იტყვით: „აი ეს თეონაა, მსახიობი გამოვიდა, ეს ლევანია, კარგი ექიმია...

ამ დროს ბოლო მერხიდან გიგის ხმა ისმის:

– ეს კი ჩვენი მასწავლებელია, დიდი ხანია სული განუტევა...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს...

– კარგით დაიწყე, – სიტყვის დამთავრება არ აცალა ქმარმა.

– მერე, ვინ გითხრა, რომ კარგი ამბავი მაქვს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 6 ივლისიდან

ვლადიმერ ნაბოკოვი

**ლოლიტა**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 7 ივლისიდან



გაბრიელ გარსია მარკესი

**გენერალი თავის ლაბირინთში**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 8 ივლისიდან



ლიზიკო ქავთარაძე

**28 წელი გულაგში**

არაადამიანური სისასტიკითაა დაღდასმული ცხოვრება, რომელზეც წიგნის ავტორი, 28 წლის განმავლობაში საბჭოთა გულაგში ნატანჯი ქართველი ქალი მოგვითხრობს.

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნში ბევრი რეპრესირებული ადამიანის სახელსა და გვარს ამოიკითხავთ. უთუოდ დაგაინტერესებთ ავტორის ხედვა და ანალიზი საბჭოთა პერიოდისა.

**წიგნის და გაზეთის ფასი 9 ლარი**


## ოლივიე ჟირუმ ტრავმა მიიღო



საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ოლივიე ჟირუმ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რის გამოც მან შესაძლოა გერმანიასთან ნახევარფინალური შეხვედრა გამოტოვოს, რაც ფრანგებისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ეს ტრავმა, თუმცა ჟირუმ განაცხადა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის ნაკრებს დაეხმაროს გერმანიასთან დაპირისპირებაში.

ჟირუმ ევროპის ჩემპიონატზე უკვე სამი გოლი გაიტანა და ის ამ ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

საფრანგეთი-გერმანიის შეხვედრა დღეს, 7 ივლისს, თბილისის დროით 23.00 საათზე დაიწყება.

## კარლოს ბაკა შესაძლოა ვესტ ჰემის ფეხბურთელი გახდეს



მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა შესაძლოა მომავალ სეზონში ლონდონური ვესტ ჰემის შემადგენლობაში ვიხილოთ.

ეს ინფორმაცია თვითონ ბაკას აგენტმა დაადასტურა და თქვა, რომ მისი კლიენტის მიმართ რამდენიმე გუნდი იჩენს ყურადღებას და ყველაზე მეტად სწორედ ინგლისელები აქტიურობენ.

ვესტ ჰემის მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა განაცხადა, რომ მას ცენტრალური თავდამსხმელი სჭირდება, რომელიც სეზონის მანძილზე 20 გოლის გატანას მოახერხებს.

ბაკამ სახელი ესპანურ სევილიაში გაითქვა და მილანს ის შარშან შეუერთდა. გასულ სეზონში ბაკამ მილანის შემადგენლობაში 18 გოლის გატანა შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მილანი ჩინელმა ინვესტორებმა იყიდეს



მილანის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ დაადასტურა ის ფაქტი, რომ მისი გუნდი ჩინელმა ინვესტორებმა იყიდეს, რომლებიც მილანის განვითარებაში მილიარდზე მეტ ევროს ჩადებენ.

ბერლუსკონის თქმით, ის ვალდებული იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, რადგან მილანს აუცილებლად სჭირდებოდა ახალი ინვესტიციები. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მილანი სერიოზულ კრიზისშია და გუნდმა შარშან სერია ა-ში მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ბერლუსკონიმ მილანი 1986 წელს იყიდა და მას შემდეგ მისი ხელმძღვანელობით კლუბმა უამრავი ტიტული მოიგო, როგორც იტალიაში, ასევე მის გარეთაც.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 2. ქალების საცხოვრებელი განცალკევებული სადგომი მუსლიმანთა სახლებში; 3. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 5. გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 6. იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი; 8. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 11. ოლქი ირანში; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 15. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 19. მარადმწვანე, ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სადოღე ცხენი; 9. ხეობა საქართველოში; 10. ფრანგი კარიკატურისტი; 12. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი შლაპა; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 17. შუაკაცი მოდავეთა შორის, მედიატორი; 18. ფრანგული ვაშლის არაყი; 20. მზის სისტემის პლანეტა; 21. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**